ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინაციის სამუშაო ჯგუფის სხდომის

ო ქ მ ი N3

ქალაქი ფოთი

30 აგვისტო 2024 წელი

სამუშაო ჯგუფის სხდომა მოწვეულ იქნა „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახოეციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 28 თებერვლის №42.42240599 ბრძანების საფუძველზე.

სხდომა ჩატარდა მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებელის 12.

სხდომას ესწრებოდნენ: მერი ბექა ვაჭარაძე, მერის პირველი მოადგილე დავით კვიციანი, მერის მოადგილეები მამუკა პაპასკირი და ლექსო თოდუა, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის წევრები.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 – 2028 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დოკუმენტის სამუშაო ჯგუფისთვის წარდგენა.
2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 – 2028 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დოკუმენტის მოწონების და მუნიციპალიტეტის მერისათვის დასამტკიცებლად წარდგენა.

მომხსენებელი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი ვასილ თოდუა

სამუშაო ჯგუფმა მოისმინა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის ვასილ თოდუას მოხსენება დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით. მომხსენებელმა სამუშაო ჯგუფს მოკლედ წარუდგინა ზოგადი ინფორმაცია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 – 2028 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დოკუმენტის შესახებ (დანართების მიხედვით), რომელიც შედგენილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მხედველობაში მიღებით და პრიორიტეტის დოკუმენტით განსაზღვრული პარამეტრების გათვალისწინებით.

აზრი გამოთქვეს: ქალაქის მერმა ბექა ვაჭარაძემ, მერის პირველმა მოადგილემ დავით კვიციანმა, მერის მოადგილეებმა მამუკა პაპასკირმა, ლექსო თოდუამ და ჯგუფის წევრებმა ქალაქში განსახორციელებულ პროგრამებთან დაკავშირებით.

სხდომა შეაჯამა: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა ბექა ვაჭარაძემ, რომელმაც კონკრეტული მოსაზრება გააცნო სამუშაო ჯგუფს მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის კუთხით განსახორციელებელი სამუშაოების, ჩასატარებელი ახალგაზრდულ, სპორტულ და კულტურულ ღონისძიებების და განსახორციელებელი სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამების შესახებ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, მერის მოადგილეების, სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნების, წინადადებების, მოსაზრებების გათვალისწინებით

დაადგინეს:

მოწონებულ იქნას ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა და წარდგენილ იქნას ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისათვის დასამტკიცებლად.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის შენიშვნებისა და შეფასების საფუძველზე, სამუშაო ჯგუფის წევრებზე გაიცა შემდეგი დავალებები:

1. 2024 წლის 1 ნოემბრამდე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურმა, წარმოადგინოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი, პრიორიტეტების დოკუმენტთან ერთად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 2024 წლის 5 ოქტომბერს მიღებული საპროგნოზო მაჩვენებლების გათვალისწინებით.

2. სამუშაო ჯგუფის მომდევნო შეკრება დაიგეგმოს 2024 წლის 1 ნოემბერს.

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ბექა ვაჭარაძე

სამუშაო ჯგუფის წევრები: